

## აკტობიოგრაფია

მე, სოსო ღურწყაია, დავიბადე 1978 წლის 28 ნოემბერს, ხობის რაიონში. 1995 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. 1995 წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2000 წელს სპეციალობით - სამართალმცოდნე და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2001-2002 წლებში ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შიდა კონტროლის სამსახურში. 2002-2004 წლებში ვმუშაობდი იურიდიულ კომპანიაში და ვეწეოდი საადვოკატო საქმიანობას. 2004-2007 წლებში ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში: 2004 წლის 01 ოქტომბრიდან 2006 წლის 01 თებერვლამდე წევრის თანაშემწედ, 2006 წლის 01 თებერვლიდან 2007 წლის 09 იანვრამდე - დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის კონსულტანტის პოზიციაზე.

2007 წლის 09 იანვარს დავინიშნე მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ. 2009 წლის მაისიდან, სამოსამართლეო უფლებამოსილების განსახორციელებლად, მივლინებული ვიქენი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.

2011 წლიდან დღემდე ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ვფლობ გერმანულ და რუსულ ენებს.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

სოსო ღურწყაია

30.05.2019 წ.